საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-08/105

ქ. ბათუმი -22 აგვისტო 2018 წ.

,, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 13 ივლისის N01-08/87 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი"–ს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს მე-5 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 21 ივლისის N01-08/37 ბრძანების, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 21 აგვისტოს №761 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 13 ივლისის N01-08/87 ბრძანებაში, კერძოდ ბრძანების 1.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1.1 სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში გადმოყვანის წესით ჩარიცხვის (გარე მობილობის) მსურველთათვის:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2018 წლის 30, 31 აგვისტო, 3 სექტემბრის ჩათვლით;

ბ) კრედიტების აღიარება - 2018 წლის 7 სექტემბერი.

გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე მსურველთა თანხმობის განცხადებების მიღება - 2018 წლის 7, 10, 11 სექტემბრის ჩათვლით;

დ) ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნა - 2018 წლის 14 სექტემბერი."

2. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს მობილობის პროცესის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით წარმართვა და კოორდინირება.

3. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება.

5. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**